

საქართველოს რეგიონებში გავრცელებული ცხენების პოპულაციურ გენეტიკური კვლევა

შორენა მაზმანიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე
გამოყენებითი გენეტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის
სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი გენეტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით თარხნიშვილი სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017 წელი

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

შ.მაზმანიანი.

სარჩევი

აბსტრაქტი.....	1
შესავალი.....	2
მასალა და მეთოდი.....	4
შედეგები	12
დისკუსია.....	20
მადლობები	23
დანართი.....	24
ლიტერატურა	29

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რამდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან საქართველოს რეგიონებში (თუშეთში, კახეთში, ჯავახეთში, სამეგრელოში, გურიაში, სვანეთში) გავრცელებული სოფლის ცხენები; გვენახა განსხვავდება თუ არა გენეტიკურად მეგრული და თუშური ჯიშის ცხენი სხვა ჯიშებისგან; ასევე შეგვესწავლა რამდენად ახლოს დგას საქართველოში გავრცელებული ცხენები სხვა რეგიონების (სამხრეთ ანატოლიის და ცენტრალური აზიის), ასევე „სუფთა“ ჯიშის ინგლისურ, არაბულ, ყაზარდოულ და შოტლანდიურ ჯიშებთან.

სულ იყო ცხენის 195 სინჯი, ცხენების გენეტიკური კვლევის შესასწავლად, გამოყენებულ იქნა 20 ბირთვული მიკროსატელიტური ლოკუსი. კვლევის შედეგები დამუშავდა სტატისტიკურად, რის შედეგადაც მივიღეთ რომ, ქართული ცხენებიდან გენეტიკური მრავალფეროვნებით თუშური ცხენი გამოირჩევა. გენეტიკური მანძილების დათვლის შედეგებით გამოვლინდა, რომ თუშეთი უფრო მეტად განხვავდება სხვა ჯიშის ცხენებისგან ვიდრე სხვა ქართული ცხენები. საბოლოო ჯამში, საქართველოს რეგიონებიდან აღებულმა ცხენის სინჯებმა: (1) არ აჩვენეს ერთმანეთისგან სარწმუნო გენეტიკური განსხვავებები; (2) არ აჩვენეს სარწმუნო გენეტიკური განსხვავება ყაზარდოული ჯიშისგან, და რაც მოულოდნელი იყო, ყირდიზული ცხენისგან; (3) აჩვენეს სარწმუნო განსხვავება ინგლისური და არაბული ჯიშის ცხენებისგან და ასევე თურქული (სამხრეთი ანატოლია) სოფლის ცხენებისგან. საქართველოს სოფლის ცხენების პოპულაციებმა ინტროგრესიის მაღალი დონე აჩვენა.

საძიებო სიტყვები: ცხენები, მიკროსატელიტები, გენეტიკური მრავალფეროვნება